8597

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 15 ნოემბერი, 1941 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო

№ 46 (205) ფასი 30 კაპ.

აღმაფრთოვანებელი და ამაღელვებელი დღეები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავი, რომლის დროსაც ხდება საბჭოთა ქვეყნის ხალხთა შემოქმედებითი და საბრძოლო ძალთა დათვალიერება, ყოველთვის იყო საბჭოთა ხალხის შთამგონებელი და წამახალისებელი შემდგომი ბრძოლისა და შრომისათვის.

ჩვენი ხალხის ამ მშობლიურმა დღესასწაულმა ეს თავისი დიდი ისტორიული ამოცანა წელს განსაკუთრებული ბრწყინვალებით შეასრულა და ამით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენი სამშობლოს და მთელი პროგრესიული კაცობრიობის ისტორიის შესანიშნავ თარიღებს შორის.

კარიბჭეებთან მომდგარ, ფოლადში ჩამჯდარ მტრის თვალწინ ათეული ათასი ტანკისა და ქვემეხის გრიალში, ყუმბარმშენებით და გამანადგურებლებით მოფენილ ცის ქვეშ, დედა-ქალაქმა მოაწყო დიდი ოქტომბრის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა, ხოლო მეორე დღეს, დილით, ასეთსავე სახიფათო ვითარებაში გამართა შეიარაღებულ ძალთა პარადი, პარადი, საიდანაც მთელმა მსოფლიომ მოისმინა ბრძოლის სულისკვეთებით და გამარჯვების მტკიცე რწმენით აღსავსე სიტყვა ხალხთა დიდი ბელადისა.

განა მსოფლიოს ისტორიას ბევრი ახსოვს ვაჟკაცობის, გამბედაობის, გულადობისა და გაუტეხელობის ასეთი დემონსტრაცია?

შენ დაიჭირე ჩვენი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მტაცებელი ნადირის დაუნდობლობით შენ სპობ ჩვენს მშვიდობიან მოსახლეობას, შენი შერკინული ველური ურდოებით, შენ მოადექი ჩვენს სასიცოცხლო ცენტრებს, ჩვენი ქვეყნის გულს, მაგრამ ჩვენ ამით ვერ მოგვდრიკე, ვერ დაგვაფრთხობ, ვერ შეგვაშინებ, და რომ ეს ასეა, აი შენ თვალწინ, შენი გამხეცებული არმიის თვალწინ მე ვაწყობ ჩემს ტრადიციულ დღესასწაულს, ჩემი ძალების საზეიმო პარადს, — აი რა უთხრა საბჭოთა ხალხმა და მისმა წინამძღოლმა მტერს 6-7 ნოემბრის დემონსტრაციით.

დიადი სამამულო ომის მიმდინარეობაში ეს არის ერთ-ერთი უაღრესად ამაღელვებელი და აღმაფრთოვანებელი ეპიზოდი. ეს ფაქტი, რომელმაც თავისი იშვიათობით გააოცა მთელი ქვეყნიერება და მთელი სიძლიერით კაცობრიობას აგრძნობინა საბჭოთა ხალხის გაუტეხელი მხნეობა და სულიერი სიმტკიცე, მუდამ დარჩება უმაგალითო გმირობის ნიმუშად და პოეტური შთაგონების წყაროდ.

ეჭვი არ არის, ამ ორმა ფაქტმა ძალზე შეაშფოთა მტერი, ერთის მხრით, ხოლო მეორის მხრით — ფრთა შეასხა საბჭოთა ხალხს, მის მტკიცე გადაწყვეტილებას იომოს მტრის საბოლოო განადგურებამდე, ფაშისტ ოკუპანტების სრულ მოსპობამდე.

მაგრამ ოქტომბრის დღეებში ყველაზე მნიშვნელოვანი და თავის შედეგების მიხედვით ყველაზე დიდი მოვლენა იყო ბელადის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე და ბელადისავე მიმართვა ჩვენი სახელოვანი არმიისადმი წითელ მოედანზე გამართულ პარადის დროს.

დიდი დამარწმუნებელი ძალით, ბოლშევიკური სიმართლით მოგვცა ბელადმა სამამულო ომის მიმდინარეობის ნათელი და მკაფიო ანალიზი, მთელი სიცხადით დაგვანახა გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა პოლიტიკური სიბეცე, გერმანული ფაშიზმის მტაცებლურ-იმპერიალისტური ბუნება, ურყევი არგუმენტებით დაგვისაბუთა ფაშისტური არმიების განადგურების გარდუვალობა და საბჭოთა ხალხის გამარჯვების აუცილებლობა. ამასთან დიდმა ბელადმა დაგვისახა ამოცანები, რომელთა განუხრელი შესრულებაც უზრუნველჰყოფს ჩვენი არმიის წინსვლას და ოკუპანტების სრულს მოსპობას.

ბელადის მოხსენება გამარჯვების ურყევი რწმენით აიარაღებს მრავალეროვან საბჭოთა ხალხს, აასკეცებს ფაშიზმის ბრჭყალებისაგან მთელი ევროპის განთავისუფლების იმედს.

მაგრამ რა ნათელიცა და საიმედოც არ უნდა იყოს ჩვენთვის და დამონებულ ევროპელ ხალხებისათვის ომის პერსპექტივები, ბელადი ამ მოხსენებაშიც გვაფრთხილებს, რომ გამარჯვება თავისთავად არ მოდის, რომ იგი თავგანწირული ბრძოლით და თავდაუზოგველი შრომით უნდა იქნას მოპოებული.

ბელადი გვაფრთხილებს, რომ განსაცდელი ჩვენი ქვეყნისათვის ჯერ განვლილი არ არის, რომ მტერი ჯერ კვლავ ძლიერია და კვლავ შესწევს იმდენი ძალა, რომ წინ წამოვიდეს, რომ იგი შეეცდება კვლავ გააკეთოს ნახტომი ჩვენი დედა-ქალაქის ასაღებად, ჩვენი სასიცოცხლო ცენტრების დასაპყრობად. რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩვენმა ხალხმა უნდა გაუძლოს მტრის ამ უკანასკნელ ძლიერ დარტყმასაც. ვიმუშაოთ დღე და ღამ შეუსვენებლად, რომ მივცეთ ყველაფერი ჩვენს წითელ არმიას, რომელსაც შეჰყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, როგორც გამანთავისუფლებელს.

ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

დაე, ამ შრომასა და ბრძოლაში ჩვენ გვაფრთოვანებდეს ჩვენი დიდი ბელადის ბრძნული საბრძოლო მოწოდება, გვფარავდეს დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა.

ლენინ-სტალინის პარტიის დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

დიდი სტალინი მოგვიწოდებს

გიორგი კალანდაძე

მამულისათვის დაცემულთა
გვეძახის სისხლი,
დიდი სტალინი მოგვიწოდებს
ნოემბრის სისხამს,
მშობელ მიწა-წყალს დაჰფარფატებს
წყვდიადი ნისლი,
დგება მოსკოვი და გმირული
ბრძოლის ფრთებს ისხამს.

ქალაქში დადის წინაპართა
გმირული სული
და უყურადებს ქალაქს გარეთ
ყორნების ფარფატს,
კუზმა მინინი გადაჰხედავს
კრემლსა და არბატს...
მეხის ტეხის წინ ხშირად დგება
სიჩუმე სრული.

და როცა ღამე ჩამოწვება
ქალაქში მძიმე,
ცაში მშობლიურ არწივების
გაფრენა ისმის,
აასკეცებენ ვაჟკაცები
ხვალის დღის იმედს
და კვლავ ფრონტებზე დაცემულთა
გვეძახის სისხლი;

მავზოლეიდან წამოდგება
აჩრდილი წმინდა,
კრემლის კურანტებს გადაუვლის
ნოემბრის მთვარე,
ძლევის და რისხვის ხმები რეკავს
მოსკოვის ციდან
და მხეცთა ხროვა შორს ბნელეთში
აფეთებს თვალებს.

ჩაირაზება ურჩხულისთვის
ბჭეები ტინის,
მტერს არნახული ეჯახება
მეხი და რისხვა,
საშინელებას დავულეწოთ
კბილები რკინის,
ლენინის სული მოგვიწოდებს
ნოემბრის სისხამს.

ხელოვნება სამამულო ომის სამსახურში

თბილისის თეატრალურმა და სამუსიკო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ჩვენი მშობლიური წითელი არმიის კულტურული მომსახურების საქმეში. დღიდან სამამულო ომის დაწყებისა პირველ ნოემბრამდე მოეწყო ათასამდე კონცერტი, რომლისათვისაც თეატრები ცალკე შემთხვევებში გამოჰყოფდნენ ხოლმე მსახიობთა სპეციალურ ბრიგადებს.

გარდა ამისა, ოპერის, რუსთაველის, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის თეატრებმა ამ ხნის განმავლობაში ჯარის ნაწილებს უჩვენეს 18 საშეფო წარმოდგენა.

ხელოვნების სამმართველომ ნოემბრისათვის შეადგინა ჯარის ნაწილების კულტმომსახურების ფართო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 180 კონცერტის მოწყობა, მაგრამ ეს გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

ყოველი მსახიობი დიდის ენტუზიაზმით იღებს მონაწილეობას საკონცერტო ბრიგადებში. მსახიობებს საპატიო მოვალეობათ მიაჩნიათ წითელი არმიის მებრძოლებისათვის გამართულ კონცერტებში მონაწილეობა. არიან მსახიობები, რომლებსაც დღემდე ჩატარებული აქვთ 40-50 საშეფო კონცერტი.

თბილისიდან რაიონებში საგასტროლოდ მივლინებულ მსახიობთა ჯგუფები ადგილებზე სისტემატურ მომსახურებას უწევენ წითელი არმიის ნაწილებს.

ბელადის პორტრეტი



ჩვენი სამამულო ომისადმი მიძღვნილ საქართველოს საბჭოთა მხატვრების, პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულ გამოფენაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის მიერ ქვისაგან გამოკვეთილი სტალინის ბიუსტი.

როცა ამ ბიუსტს პირდაპირ—ანფასში — უცქერი და აჩვევ თვალს, პირველი ხილვით მიღებული შთაბეჭდილება შეჭმუხვნილობისა თანდათან ჰქრება. არის რაღაც სიტყვით გამოუთქმელი სიდიადე მის ანფასში, მის მზერაში. ძლიერად არის გადმოცემული და თითქო ქვას შეხორცებიაო ბელადისათვის დამახასიათებელი მიმზიდველობისა და სიბრძნის გამომხატველი იერი. უმთავრესის ნათელსაყოფად არის გამიზნული ბიუსტის ყოველი ნაკვთის დამუშავების მეტნაკლებობა. თმა იმდენად არის დამუშავებული, რამდენადაც ეს საჭირო იყო პორტრეტულ მსგავსებისათვის, და ის, რაც პირველი შთაბეჭდილებით არ იგრძნობა თმის ფორმაში და მისი ფაქტურის გამაძლიერებელ ნიუანსებში, უკვე საგრძნობია თმის ძირში, საიდანაც იწყება შუბლი. შუბლის კანი ჯერ მშვიდად მიემართება ქვემოთ. ეს სიმშვიდე შეუმჩნევლად, თანდათან ირღვევა და კუნთის უეცარი შემართებით გადადის მღელვარებაში. ეს შემართება, მღელვარება, უმაღლეს წერტილს აღწევს სიამაყის ნაოჭსა და წარბების საზღვარზე. მკაფიოდ გამოკვეთილი წარბები თითქო აკავებენ შუბლის კუნთების, სიამაყის ბორცვის მძლავრ შემართებას, მაგრამ თავის მხრივ ნათლად გამოხატავენ და შესამჩნევად აძლიერებენ იმ განცდის შთაბეჭდილებას, რომელსაც ჰქმნიან შუბლის კუნთები და სიამაყის ნაოჭი.

მთავრეხილივით რელიეფურად გამოკვეთილი, აზიდული, ფიქრის და ყურადღების გამომხატველი წარბების ქვემოთ მოსჩანან თვალები. შუბლის კუნთების ბორცვებში, წარბების მდგომარეობაში და მეტადრე თვალებში გამოხატულია ის ძალა, რაც აძლევს განსაკუთრებულ იერს და აცოცხლებს ქვაში სტალინის, როგორც ადამიანის და ბელადის სახეს. სადად, გემოვნებით და ზომიერებით არის გადმოცემული ოსტატის მიერ თვალთა ასეთი ძლევამოსილი მზერა. ქუთუთოები იმ ზომაზეა წამოხრილი, როგორც ეს ბელადს სჩვევია გამახვილებული სმენისა ან ცქერის დროს. თვალის გუგები ქუთუთოებზე უფრო სადად არის გამოკვეთილი, მაგრამ სწორედ ეს უბრალოება ხიბლავს მაყურებელს.

გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი თვალები უნებურად გიზიდავენ და თითქო გამოსაცნობად მოგიწოდებენ, — საით უნდა იყოს მიმართული ბელადის მზერა. მისი მზერა გამომხატველია დიდი შინაგანი ძალისა, უსაზღვრო სულიერი და გონებრივი სამყაროსი, შეუპოვრობისა, რწმენისა გამარჯვებაში და ამავე დროს ბრძნული სიფრთხილისა და წინდახედულობისა.

ცხვირი ყველაზე უფრო რელიეფური ნაწილია სახისა და ამდენად ოსტატის სურვილისათვის ძნელად დასამორჩილებელი. ამ შემთხვევაში მის რელიეფურობას საგრძნობლად ანელებენ თვალების არეში შემოკრებილი, ფიქრისა და განცდის გამომხატველი შტრიხები, თუმცა, მეორეს მხრივ, ცხვირი შესამჩნევად უწყობს ხელს იმ იერის გაძლიერებას, რაც აღბეჭდილია ბელადის სახეზე. ცხვირი მკვრივად აკავშირებს სახის ზედა ნაწილს ქვედასთან. რაც უფრო მეტია სახის ზედა ნაწილში ფიქრით და განცდით გამოწვეული დაძაბულობა, მით უფრო თვალსაჩინოა სიმშვიდე და ოდნავ შესამჩნევი, თითქო ახლახან ჩასახული ღიმილის გამომხატველი შტრიხები სახის ქვედა ნაწილში.

ბიუსტის პროფილი აძლიერებს ანფასით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. ზურგიდან ამ შთაბეჭდილებას აგრძელებს მხოლოდ კისერი — მისი სიმძლავრე უნებურად გახვედრებს და გარწმუნებს, რომ იგი ებჯინება ფიზიკურად და სულიერად მეტად მძლავრ და ჯანსაღ სხეულს.

მოქანდაკის ნ. კანდელაკის მიერ შექმნილი ბელადის ბიუსტის მხატვრულ ღირსებას შეადგენს არა მარტო პორტრეტული მსგავსების დაცვა და გადმოცემა, არამედ ადამიანისა და ბელადის შინაგანი სამყაროს, სულიერი და გონებრივი სამყაროს გარეგანი ფორმებით ოსტატურად გამოვლინება. ამაშია ძალა, მხატვრული ღირსება და ემოციური ზემოქმედების ხარისხიც ამ ქანდაკებისა.

საერთოდ, ნამდვილი ხელოვანი გარეგანით ყოველთვის ეძებს შინაგანს.

ნ. კანდელაკის ბიუსტში ბელადის გარეგანი ნაკვთებით მოცემულია მისი შინაგანი სამყარო. აქ არ არის არც ერთი შემთხვევითი დეტალი, რომელსაც შეეძლო დაერღვია საერთო შთაბეჭდილების შემქმნელი ჰარმონიულობა. ოსტატის გემოვნებას, ზომიერების გრძნობას და დაკვირვებას ცხადჰყოფს, თავის ოდნავ შემობრუნების გამო, კისრის მარჯვენა მხარეზე მსუბუქად და მიმზიდველად გამოხატული ნაოჭი.

ბიუსტის პოზაც ბუნებრივია. თავის მოძრაობაში, მარჯვნივ მობრუნებაში არ იგრძნობა ხელოვნურობა და სიყალბე. თავის ეს მარჯვნივ მობრუნება გამოწვეულია აუცილებლობით — რომ სწორედ ეს მდგომარეობა შეესაბამება ბელადის სახეზე აღბეჭდილ იერს, მის ფიქრებს. ამ პოზას ბიუსტში შეაქვს სიდიადისა და სიდინჯის ელფერი და ამავე დროს გამოჰყავს იგი სტატიური მდგომარეობიდან.

ნ. კანდელაკის მიერ გამოკვეთილი ქანდაკება მოძრაობს, ცოცხლობს, გვიცქერის, გვაგრძნობინებს ადამიანურ უბრალოებას, ამასთან შთაგონების ძალას, გამჭრიახობას, მოუდრეკელ სიმტკიცეს ბელადისას, რომლის ძლიერი ინტელექტი და რკინის ნებისყოფა ხელმძღვანელობს დღეს საბჭოთა ხალხის გიგანტურ გამანთავისუფლებელ ბრძოლას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ლადო ავალიანი

გარდატეხის მომენტი

გერონტი ქიქოძე

უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპის კონტინენტზე სწარმოებს უდიდესი ომი, რომლის მზგავსი მონაწილეთა რიცხვისა, ტერიტორიული განვრცობისა და გამანადგურებელი ძალის მხრით კაცობრიობას მთელი თავის ისტორიის მანძილზე არ უნახავს. ამ ხნის განმავლობაში გერმანელი ფაშისტების არმიამ დიდ წარმატებას მიაღწია. ნაწილობრივ ტლანქი ძალისა, ნაწილობრივ მუხანათური თვალთმაქცობისა, ბოლოს, ნაწილობრივ შინაურ გამცემელთა გამოყენების შემწეობით გერმანელმა ფაშისტებმა თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა დაიმორჩილეს. შემოტევა, რომელიც მათ ამ ოთხთვენახევრის წინათ, ამ წლის ივნისის ოცდაორს თავისუფლების უკანასკნელი ციხესიმაგრის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყეს, თავდაპირველად უფრო სასოწარკვეთილების კადნიერებას ჰგავდა, ვიდრე გონივრული ანგარიშით დაწყებულ საქმეს.

მაგრამ პირველმა წარმატებებმა თითქო გაამართლა გერმანელი ფაშისტების იმედები. მათ დაიჭირეს უკრაინის უდიდესი ნაწილი, ბელორუსეთი, მოლდავია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, შეიჭრნენ დონბასში, უშუალოდ დაემუქრნენ მოსკოვსა და ლენინგრადს. გარეგნულად ისე სჩანდა თითქო გერმანელებმა თითქმის მიაღწიეს თავიანთ მიზნებს, თითქო მათ მრავალ ადგილას შეანგრიეს დიდი გალავანი, რომელიც მათ ძველ კონტინენტზე გზას ულობავდა მსოფლიო ბატონობისაკენ. თუ ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის უცხოელ მეგობრებს ერთგვარი შეშფოთება, ერთგვარი სკეპტიციზმი მოიცავდა, ეს თითქო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ გვწამს კაცობრიობის დაუსრულებელი სვლა პროგრესის გზაზე, მაგრამ განა კაცობრიობის ისტორიაში არ არის მომენტები, როცა ეს წინსვლა დიდი ხნით ფერხდება, როცა რეაქციული ძალები ამარცხებენ და ანადგურებენ პროგრესიულ ძალებს? განა ატილას, ჩინგის ყაენის, თემურლენგის ურდოების შემოსევამ დიდი ხნით არ შეაჩერა თავის დროის მოწინავე ქვეყნების, მათ შორის კიევის, რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, წინა აზიის, ხვარაზმის წინსვლა? რატომ არ შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ჩვენი თაობაც ანალოგიურ პროცესს მოესწრო, სახელდობრ თანამედროვე კულტურის ჩაშვავებას დიდი მასშტაბით, კაცობრიობის უკან დახევას, ებრაელთა გეტოების აღდგენას, რასათა მძულვარების გაღვივებას, ზნეობრივ ანარქიას, მწვალებელთა კოცონებს, ინკვიზიციას?

და აი ამ ტრაგიკულ მომენტში, როდესაც სასწორზე დაიდო ყველაის ღირებულება, ურომლისოდაც ადამიანის არსებობას ყოველი აზრი ეკარგება, როდესაც სასწორმა საბედისწერო ქანაობა დაიწყო და თითქო დუგმიანი ჯვრისა — სვასტიკისაკენ გადაიხარა კიდეც, გამოვიდა ძლიერი გონების და ნებისყოფის ადამიანი და სთქვა: შესდექ! ჩვენი დამარცხება შეუძლებელია! ჩვენი დამარცხება შეუძლებელია, იმიტომ რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება ისეთი მტკიცეა, როგორც არც ერთი წესწყობილება არ ყოფილა არასოდეს, შემდეგ იმიტომ რომ ჩვენი ციხის გატეხა შიგნიდან არ მოხერხდება, ხოლო გარეთ ძლიერი და საიმედო მეგობრები გვყვანან, ბოლოს იმიტომ რომ ჩვენი საქმე მორალურად გამართლებულია.

ამ სიტყვამ, რომელიც უცილობლად გარდატეხის მომენტს წარმოადგენს ამ მსოფლიო ომში და რომლიდანაც მომავალი ისტორიკოსი, ალბათ, ამ ომის მეორე პერიოდის დასაწყისს დაათარიღებს, დაამტკიცა რა დიდ ფაქტორს წარმოადგენს ხალხთა ბრძოლაში მორალური ძალა. იმისდამიუხედავად, რომ ამხანაგ სტალინის ავტორიტეტული განცხადების თანახმად მტერი ჩვენ ჯერ კიდევ გვჭარბობს ტანკებისა და აეროპლანების რიცხვით, მისი ლაკონური, თვითდაჯერებული და შთამაგონებელი სიტყვის შემდეგ ნიადაგი გამოეცალა ყოველ სკეპტიციზმს, ჩვენი მომხრეების რიგებში; ხოლო მოწინააღმდეგის რიგებში იგი უეჭველად დიდ შეშფოთებას გამოიწვევს არა მარტო იმიტომ რომ, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ომი მოტორების ომია, მოტორების წარმოების მხრივ კი ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები სამჯერ მაინც ვჭარბობთ გერმანიას, არამედ უმთავრესად იმიტომაც, რომ ჩვენ გვაქვს ერთი დიდი მოტორი, რომლის მზგავსი ჩვენს მტრებს არ აქვთ, ძარღვიანი კუნთების მოტორი, რომელიც არასოდეს არ ჩერდება და დაუშრეტელ ენერგიას შეიცავს მეგობრების სიყვარულისა და მტრების სიძულვილისათვის; და ეს მუდამ მოძრავი, უძლეველი მოტორი იოსებ ჯუღაშვილის გულია.

სტალინური მფრინავები

გიორგი კაჭახიძე

გვაბრწყინებს თქვენებრ არწივთა ყოლა,
რომელი სვავის ფრთები დაგჩრდილავთ!
დედა-სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლამ
აგამაღლათ და გამოგაჩინათ.

არ მოვლენილხართ ქვეყანას ციდან
სასწაულების მომხდენთა სახით.
თქვენ მებრძოლებად ბელადი გზრდიდათ,
გზრდიდათ გმირებად საბჭოთა ხალხი.

გიწვევდათ მაღლა სამშობლოს მთები,
ლაჟვარდის ღიმი, ფრინველთა ტაში...
ხალხმაც შეგასხათ ფოლადის ფრთები
და აგაფრინათ გუნდ-გუნდათ ცაში.

გენდოთ და როგორც გასროლილ ისრებს,
გამოგაყოლათ თვალების სხივი.
ცაში განმტკიცდით, და ახლა ისმენს
ქვეყანა თქვენგან არწივულ ყივილს.

ლაჟვარდში გაჭრილ ქარიშხალს კვეთავთ,
უძლეველობა თქვენს სულში ბუდობს.
მუსრავთ ცალკ-ცალკე და მუსრავთ ერთად
მტრის შემოსეულ მტაცებელ ურდოს.

დიდება თქვენს ფრთებს და ვაჟკაცობას!
გადმოგეხვევით, ძმურად გაკოცებთ.
ვის არ სურს ახლო თქვენი გაცნობა,
თქვენი გმირობით ვის არ აოცებთ?

მზე შუქს არ გაკლებთ, ვარსკვლავნი ციმციმს,
გეყვართ ნათელი ჩაუქრობელი.
მზე გაფრთოვანებთ, მშვენება სივრცის,
სიცოცხლისა და ღიმის მშობელი.

თქვენც სიმართლის და შრომის მზეს იცავთ,
მისთვის იშენებთ ღრუბლებს სანგრებად;
ის უკვდავების შუქში ხვევს მიწას
და ქვეყანაზე ის არ ჩაქრება!

თბილისის თეატრების უახლოესი დადგმები

თბილისის თეატრებში გაცხოველებული მუშაობაა ახალი წარმოდგენების დასადგმელად. ოპერის თეატრში მზადდება ან. ბალანჩივაძის ბალეტი „მთის გული“, რომლის განახლებული დადგმა ეკუთვნის ვახტანგ ჭაბუკიანს; ალ. წუწუნავა მუშაობს იპოლიტოვ-ივანოვის ოპერის „ღალატის“ დადგმაზე.

რუსთაველის თეატრი მუშაობს შ. დადიანისა და ქორქიას პიესაზე „ხალხი აღსდგა“. პიესას სდგამს შ. აღსაბაძე. თეატრი პარალელურად ამზადებს გ. მდივნის პიესას „ბატალიონი დასავლეთისაკენ მიემგზავრება“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს გოთუას პიესას „ერეკლე მეორე“, რომელსაც ჭაბლიაშვილი სდგამს.

რეჟისორი გ. ჟურული მუშაობს თითო მოქმედებიან პიესებისაგან შემდგარ სპექტაკლზე.

სიმღერა ღამეში

ლადო გალიაური

სცენიდან დაბრუნებული სარკის წინ რომ დადგებოდა, თავის ორეულს გაეხუმრებოდა, ტანს მოქნილად შეარხევდა, მკლავებს ღონივრად გაშლიდა, წუთით ამოიმღერებდა და შემდეგ პარიკის მოხსნას შეუდგებოდა. იმ საღამოს უფრო გულიანად დააკვირდა თავს, თითქოს პირველად დაენახოს სახე სარკეში. ეჭვის თვალით ახედ-დახედა მაღალ ტანს, ფართო ბეჭებს, გრძელ ულვაშებს, მკაცრ პირისახეს, გმირის იერით რომ ამკობდა პარიკი...

უეცრად მოდუნდა. მწვავე ცეცხლის ნაპერწკალმა გაჰკრა გულის სიღრმეში, — მოეშვა ხელოვანის იდუმალი ძალით გარკინებული ძარღვები. უგულოდ მოიხადა ქუდი, პარიკი, შემდეგ ულვაშები მოიხსნა და, ფერმკრთალ სახეს რომ დააკვირდა, დაჯდა, დაჯდა ისეთნაირად, თითქოს უხილავი არსება ღონიერი მკლავებით დააწვა მხრებზე. მძიმედ ამოიოხრა და, თვალებზე ხელაფარებული, იდაყვით მუხლს დაეყრდნო. ფიქრში წასულს ყრუდ ესმოდა კულისებში მდგომ მოქალაქეთა ხმაური. ხანდახან შენობას შორეული გრიალი შეუდგებოდა. იგი უთუოდ ცის ქუხილი იყო, მაგრამ მის გულს უამურად ხვდებოდა: რატომღაც ეგონა, რომ ცა კი არ ქუხდა, არამედ ქვემეხები ახველებდნენ. შორეული გრიალი უფრო მკვეთრად რომ გაისმა, ფეხზე წამოდგა, დინჯად ჩაიცვა საგარეო ტანისამოსი, ლეგა პალტო, წყლისფერი ცილინდრი.

ხელთათმანებს რომ იკეთებდა, ერთხელ კიდევ მიხედა სარკეს. სახეს დააკვირდა, წუთით გაუსწორა მზერა ნამდვილ სახეს. მომდურებულივით გაშორდა სარკეს, სწრაფად გაიხურა კარები.

კიბეზე რომ ჩადიოდა, წკრიალა ხმა შემოესმა. იმავე წამს წარმოუდგა თმახუჭუჭა გოგონას სახე...

— იგი აქ მღერის... — გაიფიქრა და ქუჩაში გავიდა.

შემოდგომის პირი იყო, მაგრამ საკმაოდ ციოდა. მდინარე ნევის ნაპირს შეყოლილი ბურუსი დაღლილი წვებოდა შენობათა სახურავებზე, ქუჩებზე. ჟინჟღლავდა.

ნევის პროსპექტზე ჩვეულებრივი სიწყნარე იყო. მოქალაქენი ნელი ხმაურით მიდი-მოდიოდნენ. ფიქრიან იერს აძლევდა მქრალი, ქალაქისთვის უჩვეულო სინათლე. მან ქუჩას გახედა, შეყოყმანდა, ტრამვაიზე ასვლა სურდა, მაგრამ აღარ დააყოვნა, სიარული განაგრძო.

მიდიოდა საგონებელში ჩავარდნილი, საკუთარ თავს მიცემული. იმ წუთში იგი ჰგავდა რაღაც საიდუმლო მაძიებელს: კრთებოდა ხმაურზე ან როდესაც მოქალაქეს წააწყდებოდა. ნაბიჯს ყოყმანით ადგამდა — იგონებდა რაღაცას. პროსპექტის ბოლოს, მოსახვევთან, პარკისკენ რომ გადადიოდა, ჯარისკაცებით სავსე ავტომანქანებმა ჩაუქროლეს. შედგა, გულიანი მზერა გააყოლა: ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, ცივად იყურებოდნენ. „უთუოდ ფრონტზე მიდიან", — გაიფიქრა და რატომღაც საკუთარი ორეული წარმოუდგა თვალწინ. შერცხვენილივით გაეღიმა გუნებაში, მარჯვნივ შეუხვია და „ზამთრის სასახლის" წინ დიდი მოედანი გადასჭრა. გადასვლის დროს ნაბიჯს მოუჩქარა, თითქოს ეუცხოვაო ცხრაასხუთ წელში დაღუპული მუშების სისხლით მორწყული ადგილის დანახვა.

მოულოდნელად შეყოყმანდა: ყრუანტელად დაუარა ტანში, იდუმალმა გრიალმა. გრიალი შორეული იყო, მაგრამ გულს ისე მოხვდა, ისე დაუარა ყრუანტელმა, მამა-პაპათა დაღვრილი სისხლის ხმაური თუ მისწვდა გულს. სწრაფად დაისაკუთრა წარსულის მოგონებამ: შორეულმა ხმაურმა გაახსენა „ავრორას" მატროსების მიერ გასროლილი ქვემეხის ხმა, წარსული წლები... იგი ჭაბუკი იყო, როდესაც ლენინს ხმაურით შეეგება ქალაქი ფინეთის სადგურზე.

— როცა მზე ამოდიოდა... — უთხრა გუნებამ.

მხარი ვიღაცამ გაჰკრა, შორეულმა ხმაურმა ფიქრი გაუქრო. მხრები უამურად შეიჩეჩა, ცილინდრი უფრო დაბლა დაწია შუბლზე და თავდახრილი გაჰყვა ქუჩას. ოთახის კარები რომ შეაღო, სწორედ ამ დროს დარეკა საათმა ათინახევარი...

— დრო გასულა... ისინი მოვლენ — გაიფიქრა, შემკრთალივით შეხედა საათს და დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს: პატარა ჩემოდანში რაღაცას ალაგებდა.

ჩაფიქრდა. თვალი მოჰკრა თავის ორეულს კედლის დიდ სარკეში, ნელ-ნელა დაიხარა, დააკვირდა სახეს, რატომღაც ეჩოთირა... ეჰ!.. რატომ არ შეუძლიან ისეთი იყოს, როგორიც იგი სცენაზეა ხოლმე...

— მაშინ მგონია, რომ... ჩემი ტანი გრძნობით გაჟღენთილი რკინის მთლიანი ძარღვია...

სუსტ თითებს დახედა, ფართო, ცისფერ თვალებს. გაიცინა. იდგა სარკის წინ, იდგა და ფიქრობდა.

— მე ვუმღერებ მათ! — სთქვა ბოლოს. შავად მომზირალ როიალისკენ გაიწია გულმა, სიმღერის თქმა სურდა, მაგრამ არ დასცალდა: გაისმა ჯერ შორეული გუგუნი, შემდეგ ტელეფონის ძგრიალი. ტელეფონის მილს რომ იღებდა ფიქრობდა: მე ვუმღერებ მათ...

ყური მიაპყრო მოსაუბრეს...

— მზად ვარ წასასვლელად! — უპასუხა და გაათავა. — მე ვუმღერებ! — თითქმის ხმამაღლა ამბობდა იგი. იდგა შუა იატაკზე და რაღაცას ელოდებოდა.

* * *

ავტომანქანაზე რომ ადიოდა, მხოლოდ საკუთარ თავს ხედავდა. დაჯდა და იმავე წუთს ავტო ადგილს მოსწყდა, სწრაფად გაირბინა გორკის პროსპექტი და ჩრდილოეთის მიმართულებით აიღო გეზი. ისე სწრაფად მიდიოდა, რომ შიგ მსხდომთ წკეპლებივით ხვდებოდათ ქარი. ქარი წიოდა. ხმაურობდა ბურუსი. მას ყველაფერი შავი ემოსა, იჯდა მანქანაში და გარინდულს რაღაცისთვის მიეპყრო ყური: ქარის სისინს აერთებდა, გულის იდუმალ კუნჭულში რაღაცას ინახავდა, მაგრამ სრულად ვერ დაეჭირა მჭექარე ხმაურის კვანძი. ერთის წადილით იყო იგი შეპყრობილი: ემღერა... ემღერა გმირობაზე... ახალი...

ამ ფიქრებმა და შორეულმა ხმაურმა გამოაფხიზლა. მოეჩვენა, რომ ხმაური, ხმაური შორეული და ყრუ უფრო ახლოს ისმოდა, ვიდრე აქამდინ: მძლავრად მოსდევნიდა მისკენ აშრიალებული ბურუსი უკუნეთისა.

— ისერიან! — წასჩურჩულა მას წკრიალა ხმამ. შეკრთა. დააკვირდა: სახე ვერ გაარჩია, მაგრამ მისი გონების თვალწინ წარმოისახა ოქროს თმახუჭუჭა გოგონას სახე.

— ნუ თუ! — სთქვა მან.

— დიახ, ამხანაგო ანდრეი! — მიუგო გოგონამ.

ორივე გაჩუმდა.

ანდრეიმ ისევ ღამესა და იდუმალ ხმაურს მიაპყრო ყური. „მე მინდა ვუმღერო!"... — გაიფიქრა მან.

— რა სიბნელეა! — სთქვა გოგონამ. მხრები აიჩეჩა. მობუზული იჯდა დუმილს მიცემულ ვაჟკაცთა შორის.

ავტო-მანქანა ქალაქს გაშორდა. უფრო უმატა სისწრაფეს, შავ ღამეს ხევდა შავი ფართალივით და გამკაცრებული ჰაერის იდუმალ ხმათა წვიმალი ფარავდა ყველაფერს, გარდა ერთისა: შორეული ხმაური ხვდებოდა ანდრეის ყურს.

— მაშ ჩვენ უნდა ვიმღეროთ... ღმერთო ჩემო! ამ ბნელში... — წაიჩურჩულა გოგონამ. ქალის ხმა და თეთრი თითები ერთად შეეხნენ ფიქრში გართულ ანდრეის. თრთოდა ანდრეის ტანი, თითქოს ოქროსყელიანი საკრავის სიმნი ეწყობიანო თანაბარი ჟღერისათვის... „მე გმირებს ვუმღერებ", — უთხრა თავის გუნებას მან.

* * *

— მოვედით! — სთქვა ვიღაცამ...

ანდრეიმ მოკლე ნაბიჯი გადადგა ღამეში. მიწა ცივი იყო, სითხით გაჟღენთილი. ირგვლივ დუმილი იწვა, იდუმალი დუმილი, მაგრამ ანდრეის ეგონა, რომ მის გარშემო აუარებელი ხალხი იწვა, ან ისხდა და ჩუმად საუბრობდა ლამაზ ქალებზე, მშვიდ ღამეებზე და გუშინდელ ბრძოლაზე.

— მე ვუმღერებ...

ფიქრი აღარ დასცალდა ანდრეის:

— წითელარმიელებთან მოვედით! — გაიცინა გოგონამ. სიცილის ხმამ ისე გაიელვა უკუნეთში, თითქოს მზის სხივმა გაითამაშაო შუაღამისას...

* * *

მისი სახე გაბადრული იყო. გაბრწყინებული თვალებით აკვირდებოდა რუხ თვითმფრინავის ფრთით ჩრდილში მდგომ გოგონას, ამოხმით რომ უმღეროდა ბრძოლით დაღლილ გმირებს...

— ციდან დაშვებული ანგელოზი! — გაიფიქრა ანდრეიმ... იგი ბედნიერი იყო იმ წუთში: — მე სიხარულით ვუმღერებდი ამ გმირებს ტყვიების წვიმაში... — ეუბნებოდა თავს.

გოგონას სიმღერის დამთავრებამ გამოაფხიზლა იგი. ეხლა მას უნდა ემღერა. ადგა, წავიდა თვითმფრინავის ფრთით ჩრდილისკენ. მიდიოდა და მთელი ტანი უთრთოდა: მთელი აღმოსავლეთის ბულბულთა ხმა ესმოდა იდუმალად, ღამის შრიალი ერთოდა შიგ, და ეწადა ეს ხმანი ამოეთქვა მებრძოლთა გულის ხალისად. ზვიადად გადახედა აუდიტორიას: რუხი თვითმფრინავები სჩანდნენ არწივებივით, ხოლო მფრინავნი ისეთნაირად იმზირებოდნენ, არწივებს მართვენი თუ აპირებენო აფრენას.

ანდრეი ოდნავ წინ წადგა, თავი გადახარა და მისი ხმა პატარ-პატარა ოქროს წინწკლებივით გაიბნა ჰაერში, შემდეგ ბიბინად იქცა და აქუხდა...

— მე მინდა მარად გიმღეროდე მზისფერო სამშობლოვ! — გაისმა მოლივლივე სიტყვები...

მფრინავნი აჰყვნენ მომღერლის ხმას. ნელ-ნელა შეიძრნენ რუხად მსხდომი თვითმფრინავნი და რკინის ჟრიამულმა შესძრა მიდამო... წუთიც და სიმღერით დამთვრალი ანდრეი გაოცებული შედგა. ბნელაში ვიღაც მიუახლოვდა...

— ჩვენ მარტონი ვართ! — სთქვა მან.

ნელად მოდუნდა მომღერლის მთრთოლვარე ტანი...

— ისინი გაფრინდნენ! ყველანი გაფრინდნენ — ეუბნებოდა მას წკრიალა ხმა...

ანდრეი თავს დაუბრუნდა: შორეული გრიალი აზანზარებდა დედამიწას. მიწისა და რკინის სუნი მოჰქონდა ნიავს...

გოგონას თეთრი თითები მაგრად უჭერდნენ ანდრეის დაშვებულ მკლავს..

— ყველანი გაფრინდნენ, ყველანი!

— ჩურჩულებდა იგი...

— მე იარაღი მინდა! — სთქვა ანდრეიმ და გაცეცხლებული თვალებით გახედა რუხ კვამლში გახვეულ დასავლეთის მხარეს.

სუიტა „1941 წელი"

კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი ამჟამად მუშაობს სიმფონიურ სუიტაზე „1941 წელი". სუიტა მიძღვნილია სამამულო ომისადმი და გამოხატავს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას გერმანელ ოკუპანტებთან. სუიტა სამ ნაწილად არის განზრახული: პირველი ნაწილია „ბრძოლაში", მეორე — „ღამით", მესამე — „ხალხთა ძმობისათვის".

პროკოფიევი ამავე დროს მუშაობს ოპერაზე „1812 წელი". ოპერის ლიბრეტო დაწერილია პროკოფიევისა და მ. მენდელსონის მიერ. ოპერა 4 ნაწილისა და 12 სურათისაგან შესდგება.

კომპოზიტორმა უკვე დაასრულა ოპერის პირველი აქტი.

ივანე ფრანკოს სახელობის თეატრში

ივ. ფრანკოს სახელობის უკრაინის სახელმწიფო თეატრი უკანასკნელი სამი თვეა ტამბოვში მართავს გასტროლებს. თეატრის წარმოდგენებს ყოველთვის დიდი წარმატება აქვთ.

ფართო და მრავალფეროვანია უკრაინული თეატრის რეპერტუარი. თეატრს საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი აქვს ივ. ფრანკოს „მოპარული ბედნიერება", ა. კორნეიჩუკის „უკრაინის ველებში", „მარუსია ბოგუსლავკა" და სხვ.

თეატრმა ძველი რეპერტუარიდან ტამბოვში აღადგინა ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი" და „ბოგდან ხმელნიცკი", ვ. კატაევის „მოდიოდა ჯარისკაცი ფრონტიდან" და სხვ.

თეატრმა ტამბოვში დაამზადა და პრემიერად ჩაატარა ფრ. ვოლფის პიესა „პროფესორი მამლოკი".

მაყურებელი დიდის აღფრთოვანებით ეგებება ამ თეატრის საუცხოვო მსახიობებს ა. ბუჩმას, გნატ იურას, ი. შუმსკის და სხვებს.

ხელოვნებათ-მქურდავები

როგორც ცნობილია, ფაშისტურ გერმანიაში მსოფლიო კულტურის საგანძურის ნაწილი ცხადდება მიუღებლად და აკრძალულია როგორც უვარგისი, საგანძურის ნაწილს კი ჰიტლერული „მჩხაპნელები" „უმაღლესი რასის ჰენიას" მიაკუთვნებენ. ასე, მაგალითად, ცნობილი „ლორელეია" ეკუთვნის არა ჰენრიხ ჰეინეს, არამედ ვიღაც უცნობ გერმანელსაო.

ამავე სტილის ახალი ამბავი გამოაქვეყნეს ამას წინად თავიანთ წიგნში „ფრანც ლისტი" ფაშისტმა „ხელოვნებათმცოდნეებმა" ვერნერ ფიუსმანმა და დოქტორ ბელა მატეკმა. ამ წიგნში დაბეჭდილია ლისტის პორტრეტი, რომელიც რეპინს ეკუთვნის. წიგნის ავტორებმა რეპინის პორტრეტი მიაკუთვნეს ვიღაც უნგრელ იმრე ფონ-სტეფანიანს. ვისმე რომ არ დაეჭირა სიცრუეში, ამ ხელოვნებათმქურდავებს სურათზე წაუშლიათ რეპინის ხელმოწერა, მაგრამ მთლიანად ვერ მოუხერხებიათ მისი წაშლა და მხატვრის გვარის პირველი ასო ნათლად სჩანს.



„საკაძე ბრძოლებში".

მხატვ. ელ. ახვლედიანი.

ჰიტლერი და მისი „წესრიგი" ლიონ ფეიხტვანგერის რომანებში

ვ. წულუკიძე

იმ მრავალრიცხოვან მილოცვებსა და წერილებს შორის, რომლებიც გმირმა საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავზე კულტურის ევროპელ და ამერიკელ მოღვაწეთაგან მიიღო, იყო ცნობილი ანტიფაშისტი მწერლის, ლიონ ფეიხტვანგერის წერილიც, სადაც იგი სხვათაშორის სწერდა: „საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნაცისტური რეჟიმის ბრძოლა, ყველაზე უფრო რეაქციული სახელმწიფოს ბრძოლაა — ყველაზე პროგრესიული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვინც თავისთავზე გამოსცადა საბჭოთა კავშირის კეთილგონივრული ძალა და ნაცისტური გერმანიის შავბნელი, უგუნური ძალა, იმას არასოდეს არ შესდიოდა ეჭვი, თუ რით გათავდება ახლანდელი ბრძოლა. ოქტომბრის რევოლუციის წლისთავზე ჩვენ ბედნიერი ვართ აღვნიშნოთ, რომ, რაც უნდა მძიმედ გვეჩვენებოდეს ბრძოლა, ნაცისტებზე საბჭოების საბოლოო გამარჯვება უეჭველია".

ამ სიტყვების ავტორი — ლიონ ფეიხტვანგერი სწორედ ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც თავის-თავზე გამოსცადა ნაცისტური რეჟიმის, შავბნელი უგუნური ძალა და ადრევე უტყუარი ალღოთი განსჭვრიტა ფაშიზმისა და მისი მესვეურების ანტისოციალური ბუნება.

ის დანაშაულობანი და ბოროტმოქმედებანი, რომელთაც სჩადიოდნენ ჰიტლერელი არამზადები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ძალა-უფლებას წელში ჩაიგდებდნენ, ლიონ ფეიხტვანგერმა მემატიანის მკაცრი მიუდგომლობით აღბეჭდა რომანში „წარმატება". ფეიხტვანგერისათვის დამახასიათებელია თხრობის თავშეკავებული, მშვიდი მანერა. მიუხედავად ამისა, ამ რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი რუპერტ კუტცნერი (ამ სახელით არის რომანში მონათლული ჰიტლერი) არის სავსებით გროტესკული ფიგურა, კარიკატურული, მხეცის მაგვარი ქმნილება. მხატვარს არ დასჭირებია მოეცა იგი მუქი საღებავებით. პორტრეტი სავსებით შეეფერება ორიგინალს.

რომანში ფონად აღებულია ომის შემდეგდროინდელი ბავარია. ომით მოქანცულ, ბავარიის კომუნის ორი კვირის არსებობით შეშინებულ, სამეურნეო ნგრევითა და ინფლიაციით უკმაყოფილო მიუნჰენის ობივატელთა შორის თანდათან პოპულარობას იხვეჭს „ჭეშმარიტ გერმანელთა" პარტია, რომელიც დაუარსებია სხვა ქალაქიდან ჩასულ უმუშევარ მონტიორს რუპერტ კუტცნერს, რომელიც თავს პოლიტიკურ მწერლად ასაღებდა.

„როცა მონტიორი კუტცნერი გაჩუმდებოდა, მისი ფერმკრთალი ტუჩები პაწაწკინტელა შავი ულვაშებით ზედა ბაგეზე და ორად გაყოფილი გაზეთილი თმით თითქმის უკისრო თავზე მის სახეს აძლევდნენ რაღაც ნიღაბისებურ სიცალიერით სავსე მკვდრულ იერს. მაგრამ საკმაო იყო პირი გაეღო, რომ მისი სახე იწყებდა მანჭვას რაღაც უცნაური, თითქმის ისტერიული ცახცახით".

ლუდის ბოთლებით სავსე მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი მიუნჰენელი ბიურგერები ყურადღებით უსმენენ კუტცნერს, რომელიც თავის გრძელ სიტყვებში მანიაკური დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე ბრალდებას: ხალხის ყველა უბედურების მიზეზად მას „ინტერნაციონალური, ებრაული, ფინანსიური ხროვა" მიაჩნდა. მეშჩანურ საზოგადოებას მოსწონს ორატორის ეფექტიური თეატრალური ტოსტები და მისი უნარი იმოქმედოს მსმენელთა მგრძნობიარე სიმზე—პატარა ადამიანების სიძულვილზე ფინანსისტებისა და ბანკირებისადმი. მსმენელებმა როდი იციან, რომ კუტცნერმა ორატორული ხერხები შეითვისა მეფის სასახლის ყოფილი მსახიობის შტოლცინგისაგან, რომ კუტცნერის პარტიას უხვ სუბსიდიებს აძლევენ სწორედ ის მსხვილი ბანკირები, რომელთა წინააღმდეგაც იგი აფრქვევს ცეცხლს და ატრიალებს ქაღალდის მახვილს.

ავანტიურისტი და ტაკიმასხარა კუტცნერი აგროვებს და თავის გარშემო იკრებს „ღირსეულ" თანამებრძოლებს. აქ არის შოფერი რაცენბერგერი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა ცრუმოწმობით პოლიტიკურ პროცესზე, აქვეა დეგენერატი ვიგინდარა, კაცის მკვლელი ერიხ ბორნგააკი და გამობრძმედილი გაიძვერა დარმარიერი. „ჭეშმარიტი გერმანელთა" პარტია, რომელიც საიდუმლო სუბსიდიებით საზრდოობს, სწრაფად იკრებს თავის გარშემო ბოროტმოქმედთა და დამნაშავეთა ხროვას, ნაძირალებს, რომელნიც კი მოიპოვებოდნენ მთელს გერმანიაში. „მათ რიგებს შეუერთდა ყველა ის ელემენტი, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ უსაქმოდ და უმუშევრად დაეხეტებოდა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში. ავანტურისტებმა და ლანდსკნეხტებმა, რომელთაც არაფერი გააჩნდათ თავის სარჩენად, თავისუფლად ამოისუნთქეს... სახელმწიფოს ყველა კუთხეში დაძრწიან კუტცნერის აგენტები, რომლებიც „ჭეშმარიტ გერმანელთა" ნაწილებისათვის ჰკრებენ უმუშევრებს, ან იმათ, ვინც პატიოსან შრომას გაურბის".

ბანდიტები სარგებლობენ პოლიციის მფარველობით, ზოგჯერ თავს „დამხმარე პოლიციად" აცხადებენ და ამით ტერორქვეშ აყენებენ მუშათა კვარტალებს, არბევენ, სძარცვავენ მუშათა ოჯახებს, ყელს ღადრავენ რევოლუციურად განწყობილ მუშებს.

ოპერეტული ჰიტლერული „ჯანყი" 1923 წელს მიუნჰენში ფაშისტებს საბაბს აძლევს აულაგმავი მოქმედებისთვის.

„ჭეშმარიტი გერმანელები" თავიანთ იოლ გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. აიკლეს მემარცხენე გაზეთის რედაქცია და სტამბა, გასძარცვეს იგი, დაამსხვრიეს მანქანები, მიმოაბნიეს აწყობილი ტექსტი, ველური სიხარულით ფანჯრიდან გადაყარეს სოციალისტური პარტიების ბელადთა ბიუსტები, დააპატიმრეს თავიანთი პარტიული მოწინააღმდეგენი, მემარცხენე დეპუტატები, ქალაქის საბჭოს წევრები, ებრაელები, რომელთაც ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავათ. ქუჩებში მიათრევდნენ დაპატიმრებულთ, ამასთან ერთობოდნენ და საფუძვლიანად მსჯელობდნენ იმაზე, თუ სად და როგორ დაესაჯათ დაპატიმრებულნი—ჩამოეკიდათ ისინი ხეზე თუ ფანარზე, დაეხვრიტათ ამ შენობის კედელთან თუ ქვიშის ბორცვთან. იმ დაპატიმრებულთ, რომელნიც ყველაზე უფრო იზიზღებოდათ და ეჯავრებოდათ, უხეშად დასცინოდნენ, სახეში აფურთხებდნენ, ტანსაცმელს ხდიდნენ და ართმევდნენ ყველაფერს, რაც კი რამედ ღირდა. სამხედრო თათბირის შემდეგ მიჰყავდათ ისინი ტყეში, უღერებდნენ ავტომატურ რევოლვერებს და უცხადებდნენ, დადგა თქვენი უკანასკნელი საათიო.

ჰიტლერ-კუტცნერის მიერ გამოცხადებულმა „ნაციონალურმა აღორძინებამ" ნამდვილად სისხლიანი და უბადრუკი ფარსის ხასიათი მიიღო. ბანდიტებს ძარცვა-გლეჯის შესაძლებლობა მისცეს. მაგრამ კუტცნერის კაპიტალისტურ ბატონ-პატრონებს ჯერ კიდევ ნაადრევად მიაჩნდათ—გადაეცათ მისთვის ძალაუფლება. ჯანყი ლიკვიდირებულ იქნა, კუტცნერი მოკლე ხნით დააპატიმრეს. კუტცნერის გასამართლება ისეთი უმსგავსო კომედია გამოვიდა, როგორიც იყო მის მიერვე მოწყობილი და მარცხით დამთავრებული აჯანყება. ტაკიმასხარა დროებით გაჰქრება პოლიტიკურ ასპარეზიდან, რათა კვლავ ამოტივტივდეს, როცა იგი საჭირო გახდება.

ეს იყო 1923 წელს. იმის აღწერას, თუ რა მოხდა ათი წლის შემდეგ, მიეძღვნა თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ყველაზე ნაღვლიანი და აღშფოთების აღმძვრელი ფურცლები.

ლიონ ფეიხტვანგერი თავის ცნობილ რომანში „ცრუ ნერონი" დაუბრუნდა ბანდიტ ფიურერის განსახიერების ამოცანას. მან ისარგებლა ამ შემთხვევაში ისტორიული ქარაგმის ხერხით: უმეცარ მექოთნე ტერენცში, რომელმაც თავი იმპერატორ ნერონად წარმოიდგინა, ადვილად ვცნობილობთ სისხლიანი ჯამბაზის ჰიტლერის საზიზღარ თვისებებს. ტერენცის ახასიათებს ჰიტლერისებური ისტერიული თავდაჯერება, მკვეხარობა და მატყუარობა, მისებური გიჟური ავანტიურიზმი, მხეცური სისასტიკე და მზად ყოფნა — თავის პატივმოყვარეობას მსხვერპლად მიუტანოს უამრავი ადამიანის სიცოცხლე. პროვოკაციული საქციელი ცრუ ნერონისა, რომელმაც წყლით წალეკა ქალაქი ატმეია იმ მიზნით, რომ ამ კატასტროფაში ბრალი დაედო ქრისტიანებისათვის და შემდეგ ამოეწყვიტა ისინი,—ეს პროვოკაციული საქციელი ცრუ ნერონისა მოგვაგონებს ფაშისტების მიერ რეიხსტაგის დაწვას. ცრუ ნერონის მთელი პოლიტიკა, რომელშიაც ალვირახსნილი ტერორი უთავსდება ასეთსავე ალვირახსნილ დემაგოგიას, გვევლინება შორეულ წარსულში გადატანილ ფაშიზმის პოლიტიკად.

ყოველგვარი ისტორიული ანალოგია ასე თუ ისე პირობითია. ცხადია, ფაშიზმის კლასობრივ რაობას ასეთი ანალოგიით ვერ ახსნი. მაგრამ მატყუარა ტერენცის ისტორიამ მხატვარს უეჭველად მისცა შესაფერი მასალა იმის დასახატად, თუ ზოგჯერ როგორ აიყვანს ისტორიული ვითარება პატარა და უმსგავს კაცუნას ხელისუფლების მწვერვალზე, თუ როგორ ეძლევა შესაძლებლობა პატარა კაცუნას ჩაიდინოს დიდი ბოროტება.

როცა რომის იმპერატორი ტიტუსი გაიგებს ცრუ ნერონის კარნახით ჩადენილ ხალხის მასობრივ ამოხოცვას, შეჰყვირებს: „როგორ შეიძლება პატარა თევზი ასე სასტიკად ჰყარდესო". ტიტუსის მდივნის მეოხებით ეს სიტყვები გახმაურდა. მას შემდეგ ყოველთვის, როცა უმნიშვნელო და არარა ადამიანი ხელთ იგდებს ძალაუფლებას მასებზე და ვნებას აყენებს მათ, იტყვიან ხოლმე: „როგორ შეიძლება პატარა თევზი ასე სასტიკად ჰყარდესო".

მაგრამ რომან „ცრუ ნერონში" სხვა რამეცაა ნაჩვენები. ბოროტმოქმედ ვიგინდარას ბატონობა, იმ არამზადის ბატონობა, რომელიც ასეთ მძიმე სატანჯველში აგდებს ხალხს, შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი. საყოველთაო ხოცვა - ჟლეტით შეშინებული, უზურპატორის თეატრალური ბრწყინვალებით რეტდასხმული „პროპაგანდის მინისტრის" კნოპსის ფანტასტიური ჭორებით და მატყუარობით გზა-კვალ აბნეული ხალხი ბოლოს ერკვევა საქმის ნამდვილ ვითარებაში, ფხიზლდება და ზურგს აქცევს ცრუ ნერონს. ანონიმური ირონიული ლექსი, რომელსაც ხალხი მღერის და რომელიც ცრუ ნერონის აღსასრულს მოასწავებს, მისი პოპულარობის გაქარწყლების პირველი აშკარა ნიშანია. ავანტიურისტის ამ სწრაფ თავბრუდამსხმელ აღმავლობას მოსდევს ასეთივე სწრაფი და თავბრუდამსხმელი დაცემა, შერცხვენა, სიკვდილი.

ლიონ ფეიხტვანგერს აქვს მესამე რომანი, სადაც მწერალს უშუალო იერიში მიაქვს ჰიტლერის დიქტატურაზე, სადაც მთელი თავისი საშინელებით წარმოსახულია ფაშისტურ საპყრობილეთა ჯოჯოხეთი, მასობრივი ტერორი, ძალადობისა და უხეშობის ალვირახსნილი თარეში. ეს რომანი არის „ოპენჰეიმების ოჯახი". აი ერთი სცენა ამ ნაწარმოებისა. ხნიერი ლიტერატორი, საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთი პატიმარი, თავგადაპარსული, ტუსაღის ჭრელ ტანისამოს-გადაცმული, მოიერიშის ბრძანებით კოკისპირულ წვიმაში დაუსრულებლად ასრულებს სხვადასხვა სავარჯიშო გიმნასტიურ ნომრებს: „ჩაწექ წუმპეში, ადექ, ისევ ჩაწექ..." მოიერიშე ტუსაღებს ლანძღავს და შეურაცყოფას აყენებს უწმაწური სიტყვებით, შემდეგ უბრძანებს: „იცინეთო". პიროვნების გათელვა ამაზე შორს ვერ წავა.

სწორად შენიშნავს ფეიხტვანგერი: გერმანია გადაიქცა საგიჟეთად, სადაც ავადმყოფებს აუღიათ ძალა-უფლება თავიანთ დარაჯებზე. განა სულით ავადმყოფი დეგენერატი არ არის ბაყაყის ხმით მოლაპარაკე პედაგოგი ფოგელზანგი, რომელიც ერთ თავის მოწაფეს, გონებაჩლუნგ რიტერშტეგს მკვლელობას ჩაადენინებს, ხოლო მეორეს ბერტოლდ ოპენჰაიმს თავს მოაკვლევინებს. განა საგიჟეთს არ მოგვაგონებენ ედგარ ოპენჰაიმის კლინიკაში დატრიალებული სცენები, როცა გამხეცებული ფაშისტი ყაჩაღები შევარდებიან საოპერაციო ოთახში და ხელს უშლიან მუშაობაში ებრაელ ქირურგს, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღვის, რომ მან იხსნა მრავალი „არიელის" სიცოცხლე?

საბედნიეროდ გერმანიაში კიდევ არიან ადამიანები, რომელთა გონება საღად აზროვნებს და რომელნიც არ გაბრუებულან ჰებელსის ცოფმორეული აგიტაციის ბანგით. ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჭაბუკი ბერტოლდ ოპენჰაიმი, რომელიც წარმოგვიდგენს ნამდვილ და ჭეშმარიტ გერმანელს. „ბერტოლდი უყურებდა წიგნების გრძელ წყებას, რომელიც იატაკს სწვდებოდა. ყველაფერი ეს იყო გერმანია; ადამიანებიც, რომლებიც ამ წიგნებს კითხულობდნენ, იყო აგრეთვე გერმანია, მუშებიც, რომლებიც თავისუფალ დროს მუშათა უნივერსიტეტში სწავლობდნენ ძნელად დასაძლევ მარქსს, იყო გერმანია, ფილარმონიის ორკესტრიც იყო გერმანია; გერმანია იყო აგრეთვე ავტომობილთა გადარბენა და მუშათა სასპორტო ორგანიზაციები."

ამჟამად ეს გერმანია იტანჯება ფაშიზმის რკინის ქუსლქვეშ ისევე, როგორც მთელი დასავლეთი ევროპა. იგი იტანჯება, მაგრამ იმავე დროს იკრებს მთელ თავის ძალ-ღონეს, რომ სამარე განუმზადოს ნაცისტური გერმანიის შავბნელს, უგუნურ ძალას, რომელიც განგმირული იქნება მამაცი საბჭოთა ხალხისა და მსოფლიო დემოკრატიის მახვილით.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე,
გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. შე 41437